

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი |

EEU – ში ელექტრონული სწავლების პოლიტიკა

ახალი კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და გატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით **EEU - ში შემუშავებული იქნა მექანიზმები და პროცედურები 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.**

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობით, **EEU - ში შექმნილი მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ.** დოკუმენტის პროექტი განხილულ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე და საბჭოს გადაწყვეტილებით მისი სრულყოფა უზრუნველყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს ელექტრონული სწავლებისას EEU – ში დისტანციური სწავლების ფორმატში სტუდენტის შეფასების მეთოდები და დაადგინოს ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პროცედურები, რათა უზრუნველყოს ამ პროცესებში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი გაგება მასში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გაეცნო არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე გაანალიზა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ENQA -ს 2018 წლის სამუშაო ჯგუფის ანგარიშს „მოსაზრებები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად“.

დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზდა **EEU - ში** 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი თითოეული სასწავლო კურსის სწავლების, შეფასების და პროცესების ადმინისტრირების სრულად ელექტრონულ პლატფორმაზე გადაყვანის შესაძლებლობები და

გამოწვევები. ასევე შესწავალ იქნა უნივერსიტეტში ელექტრონული პლატფორმების¹ შესაძლებლობები.

ზემოთ აღწერილი პროცესების გაანალიზების შედეგად შემუშავებული იქნა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც ემსახურება **EEU - ში** ელექტრონული სწავლების ფორმატში გადასვლისთვის სასწავლო პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფას, მათ შორის სტუდენტთა შეფასების რელევანტური მეთოდების განსაზღვრას.

წინამდებარე დოკუმენტის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის მიერ, ამასთანავე მისი ამოქმედებით შეჩერებულ იქნება უნივერსიტეტში არსებული შიდა სამართლებრივი რეგულაციები /დებულებები /მუხლები/პუნქტები/, რომელიც განსხვავებულად აწესრიგებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ მექანიზმებს, მეთოდებსა და პროცედურებს.

წინამდებარე დოკუმენტს უნივერსიტეტი გამოიყენებს გარადმავალ პერიოდში, კორონა ვირუსის საფრთხის აღმოფხვრამდე ან/და ელექტრონული სწავლების ფორმატის გამოყენების საჭიროებისას.

¹ EEU – ში დისტანციური სწავლება ხორციელდება **Microsoft Teams-ისა** და განახლებული **სასწავლო პროცესის მართვის (Eeu-el)** ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. უნივერსიტეტი Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორია და დისტანციური სწავლების პროგრამას Office 365 A1 ლიცენზირების ფარგლებში ახორციელებს.

EEU – ში დისტანციური სწავლების ფორმატში სტუდენტის შეფასების მეთოდები

▪ ტერმინთა განმარტება

- **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
- **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;
- **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით;
- **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- **სწავლება-სწავლის მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, **როგორცაა:** ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, **ელექტრონული სწავლება** და სხვა, **სწავლება-სწავლის მეთოდი** შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

- **შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია **შუალედური** შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და **დასკვნითი** შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;
- **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);
- **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);
- **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
- **EEU-ში ელექტრონული სწავლების ფორმატში სტუდენტთა შეფასება განხორციელდება შემდეგი სახით:**
- სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული **შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმები** და მათი ხვედრითი წილი მთლიანი შეფასების სისტემაში რჩება უცვლელი;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების მიერ სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული **შეფასების კომპონენტები** (ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, ზეპირი/წერიტი შუალედური/დასკვნითი გამოცდა), სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც **ზეპირი, ასევე წერიტი ფორმით**, სილაბუსით განსაზღვრული ინტენსივობით.
- სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სილაბუსით განსაზღვრული შეფასების განსხვავებული მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის შეთანხმება პროგრამის ხელმძღვანელთან. რომელიც თავის მხრივ მოახდენს ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმირებას. სასწავლო კურსში განსხვავებული შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენების

შემთხვევაში კურსის განმახორციელებელი პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტების სრულფასოვანი ინფორმირება.


- სასწავლო კურსების სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ისეთი კომპონენტი, როგორიცაა **წერითი საშინაო დავალება** (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი, კვლევითი/პრაქტიკული პროექტი, ესსე) შეფასდეს სილაბუსით გათვალისწინებული მეთოდებით და მისი პრეზენტაცია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით; ამ შემთხვევაში სასწავლო კურსების სილაბუსით გათვალისწინებული **შეფასების კრიტერიუმები** რჩება უცვლელი.
- ზეპირი გამოკითხვისას გამოიყენება ისეთი **შეფასების მეთოდები**, როგორებიცაა: კითხვა-პასუხი, მოხსენება, დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაცია, ბლიც გამოკითხვა (ზეპირი ქვიზი), პრაქტიკული მაგალითის (ქეისის, კაზუსის) განხილვა/ანალიზი და სხვა;
- დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, უცვლელი რჩება შეფასების **ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები**. ელექტრონული ფორმით სწავლება განხორციელდეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსებზე/მოდულებზე, რომლებიც არ ითვალისწინებს კლინიკური უნარების გამომუშავებას, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის ვადებში.
 - დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) კლინიკური უნარების გამომუშავებაზე მიმართული სასწავლო კურსები განხორციელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის“ შესაბამისად;
- საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული ე.წ. „აქტიური“ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის“ შესაბამისად; გარდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული „აქტიური პედაგოგიური პრაქტიკისა“
- საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი, დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსი/კურსები განხორციელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის“ შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი ელექტრონული ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- კვლევითი კომპონენტის საკონტაქტო საათები განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი მაგისტრანტმა უნდა წარადგინოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს მიმდინარე წლის 9 მაისამდე და მისი საჯარო პრეზენტაცია განხორციელდეს ელექტრონული სახით მიმდინარე წლის 16 მაისამდე. მაგისტრანტმა ფაკულტეტის ადმინისტრაციას სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარუდგინოს 22 ივლისიდან 1 სექტემბრამდე.
- უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ფორმატში სწავლების პროცესისა და დაგეგმილი სილაბუსით მიმდინარე შეფასებების განხორციელებისათვის დანერგილია ელექტრონული სწავლების ლიცენზირებული პროგრამა „Microsoft Teams“-ის გაძლიერებული პლატფორმა, რომელიც იძლევა საშუალებას შეუფერხებლად განხორციელდეს სალექციო პროცესი და მიმდინარე შეფასებები წარიმართოს ზეპირი და წერიტი ფორმით სწავლის შედეგების მიღწევის სრული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, „Microsoft Teams“-ის ადმინისტრირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს და ტექნიკური მხარდაჭერა სამეურნეო სამსახურის IT მიმართულებას.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების პროცესში ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გაგრძელდეს ინტენსიური მუშაობა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შუალედური და დასკვნითი წერილობითი გამოცდების იმპლემენტაციისთვის რელევანტური/აპრობირებული ელექტრონული პლატფორმების გატესტვაზე, რომელიც უნდა დასრულდეს ერთი თვის ვადაში და 15 მაისიდან უზრუნველყოფილი იქნას მისი სრულფასოვანი გამოყენება.

EEU – ში დისტანციური სწავლებისა და ორგანიზაციული მართვის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

EEU – ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ სისტემატურად ხდებოდეს ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება. ყველა პროცესი ეყრდნობა უწყვეტი განვითარების PDCA ციკლს - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.

EEU – ში დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესების წარმართვა უზრუნველყოფილია PDCA ციკლის დაცვით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობით.



უნივერსიტეტმა უზრუნველყო ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესისა და სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა, რითაც მოახდინა სქემაში დასახელებული „ხარისხის სტანდარტების განსაზღვრის“ კომპონენტის იმპლემენტაცია.

EEU – ში ელექტრონული სწავლა სწავლების პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომლის მიზანია ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული მიმდინარე ყველა პროცესის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც მოიცავს:

- ინსტიტუციურ მხარდაჭერას;
- დისტანციურად განსახორციელებელი სასწავლო კურსის ანალიზს და მისი განხორციელებისათვის რელევანტური მეთოდების და რესურსების, ასევე სტუდენტთა შეფასების მეთოდების განსაზღვრას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების მიღწევა და დადასტურება.
- სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებულობის აქტიური და ეფექტური საკომუნიკაციო არხების არსებობას, ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მათი ინსტრუქციებითა და საჭირო ტრენინგებით უზრუნველყოფას;
- სტუდენტების და პერსონალის პროგრამულ/ტექნოლოგიურ მხარდაჭერას ელექტრონული პლატფორმების სრულფასოვნად და შეუფერხებლად გამოყენების მიზნით;
- ელექტრონული სერვისების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფას, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. ასევე, სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას.
- ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგს - განსაზღვრულია ლექციის ჩაწერის ვალდებულება. მიმდინარეობს სტუდენტების სასწავლო პროცესში (ლექცია, სემინარები) მონაწილეობის და განრიგის შესაბამისად ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგი.
- ელექტრონული სწავლების შეფასებას.

ელექტრონული სწავლების შეფასება

ელექტრონული სწავლების შეფასების მიზანია მასში ჩართული პირებისგან მიიღოს უკუკავშირი ელექტრონული სწავლების პროცესის ყველა ელემენტისა და ასპექტის შესახებ.

ელექტრონული სწავლების შესაფასებლად უნივერსიტეტი გამოიყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებულ სისტემურ და საჭიროებაზე ორიენტირებულ კვლევებს.

ელექტრონული სწავლების შეფასების მიზნებისათვის, შიდა კვლევებისათვის გამოიყენება მოდიფიცირებული კითხვარები, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული სწავლების სპეციფიკას, კერძოდ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვას, რომლის მიზანია შეისწავლოს სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ. (იხ. დანართი გამოკითხვის ფორმები)

ელექტრონული სწავლების შეფასების მიზნებისათვის, უნივერსიტეტი უფლებამოსილია ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით უზრუნველყოს ჯგუფური დისკუსიის (ფოკუს ჯგუფის მეთოდი) ფორმატის გამოყენება ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

ელექტრონული სწავლების შეფასების განხორციელების პროცედურები

პასუხისმგებლობა

ელექტრონული სწავლების შეფასების მიზნით განხორციელებულ ყველა ტიპის კვლევის ადმინისტრირებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ელექტრონული სწავლების შეფასებისთვის კვლევის ინსტრუმენტის მომზადება და კვლევის ადმინისტრირება

ელექტრონული სწავლების შეფასებისათვის კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებას და მოდიფიცირებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის აქტიური ჩართულობით.

კითხვარის რევიზიის პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები.

ელექტრონული სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტი შეფასების ციკლს რამდენიმეჯერ გაიმეოროს შემჭიდროებულ ვადებში, კერძოდ პირველ ეტაპზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი

პერსონალისგან ზოგადი ხასიათის უკუკავშირის მიღებას უნივერსიტეტში დანერგილი დისტანციური სწავლების შესახებ.

მიღებული უკუკავშირის შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოხდენს საკვანძო საკითხების იდენტიფიცირებას, რომელიც, შედეგებზე დაფუძნებით პრობლემატურად გამოიკვეთა. იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხების (მათი სპეციფიკის) გათვალისწინებით შემუშავდება რეკომენდაციები, პროცესის გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად შეფასების შემდგომი ციკლის დაგეგმვისას გამოკითხვის ფორმებში გათვალისწინებული იქნება კითხვები იმის შესამოწმებლად რამდენად იქნა წინა შედეგები გაუმჯობესებული და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები გათვალისწინებული. ეს არის უკვე შეფასების ციკლის მესამე ეტაპი, ხოლო მესამე ეტაპზე სრულფასოვნად იქნება პროცესი შეფასებული პირველი და მეორე ეტაპის შეფასების შედეგების გამოყენებით.

ელექტრონული სწავლების შეფასების შედეგების ანალიზი

ელექტრონული სწავლების შეფასების შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დაგეგმილი და განხორციელებული შეფასების თითოეული ციკლის შედეგების ანალიზის შედეგად შემუშავებული და გათვალისწინებული რეკომენდაციების კონსოლიდირების შემდეგ სამსახური შეიმუშავებს შეჯამებულ რეკომენდაციებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის ეგზავნება უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს/ერთეულებს, ხოლო საბოლოო ანგარიში შემდგომი რეაგირების მიზნით განიხილება წარმომადგენლობით საბჭოზე.

შეფასების შედეგების გავრცელება და ინტეგრირება

შეფასების შედეგების გავრცელება უნდა მოხდეს დაინტერესებულ პირებთან. (უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულები, ფაკულტეტები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ა.შ.).

შეფასების შედეგების გამოყენება მოხდება უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესისთვის.

შეფასების შედეგად გამოვლენილ სისუსტეებზე რეაგირება აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში, ინსტიტუციის მართვის პროცედურებსა და უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმაში/გეგმებში.